სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება № 74
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ამბროლაური 21 დეკემბერი 2016 წელი

ერთის მხრივ, სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ ერთეულებში (ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში) (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის, პარმენ მარგველიძის სახით და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე გიორგი ვეფხვაძე, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს' ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სხელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაციისათვის ვებ გვერდის დაპროექტების და დამზადების მომსახურების შესყიდვა (კლასიფიკატორის კოდები: 72200000, 72400000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1300 (ერთიათას სამასი) ლარს.

2.2. ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

3. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშწორების ფორმა და ვადები

3.1. მომსახურების გაწევის შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარები აქტი, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 30 დეკემბრამდე პერიოდი.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია

5.1.1.მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

5.1.2.გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია

5.2.1.სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს „მომსახურების" საფასური, 2.1. პუნქტის მიხედვით;

5.2.2.ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია

5.3.1.მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება;

5.3.2.გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.4.1.კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

6.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების

ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 იანვრამდე

12. რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში
(ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და
ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში)
ქ. ამბროლაური, ბრატისლსვა-რაჭის ქ. N11
საქართველოს სახელმწიფო ხაზინა,
ს/კ 222938007

სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი: პარმენ მარგველიძე

მიმწოდებელი:

ინდ. მეწარმე გიორგი ვეფხვაძე;
ქ. გორი სტალინის ქ. N 28 ტ.599170913
ს/ს საქართველოს ბანკი კოდი BAGAGE 22
ა/ა GE 45BG0000000855016200;
ს/კოდი 59001106096

მიმწოდებელი: გიორგი ვეფხვაძე